ახალი ხარაგაული

371 (2) 5 თებერვალი, 2018 წ.

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან თათბირი გამართა და ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სოფლებში გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა განიხილა. თოფურიძემ ამინდის გაუარესების შემთხვევაში მისაღებ ზომებზე დეტალურად ისაუბრა და წარმომადგენლებს, საგანგებო შემთხვევებში, 24 საათიან რეჟიმში მზადყოფნისაკენ მოუწოდა. მისივე განცხადებით, უხვი ნალექის მოსვლის შემთხვევაში გზები ინტენსიურად გაიწმინდება.

თათბირზე ნიკოლოზ თოფურიძემ სტიქიით დაზიანებულ ინფრასტრუქტურაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს გასული წლის დეკემბრის ბოლოს მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი ლარი ჩაერიცხა. თოფურიძე მიიჩნევს, რომ სასურველი იქნება, თუ ტენდერებში ადგილობრივი მეწარმეები მიიღებენ მონაწილეობას და წარმომადგენლებს მათი ინფორმირება დაავალა. მერმა ყურადღება ხიდბოგირებზეც გაამახვილა და განმარტა, რომ მიმდინარე წელს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ეს პრობლემა მოგვარებული იქნება.

ნიკოლოზ თოფურიძემ ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ გზის კეთილმოწყობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

„სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაახლოებით, ერთ თვეში დაიწყება და ადგილობრივები დასაქმდებიან. ყოველივე ეს კი მოსახლეობას დამატებით შემოსავლებს გაუჩენს. წელიწად-ნახევარი მოგვიწევს რთულ სიტუაციაში ცხოვრება, მაგრამ სულ მალე საუკეთესო გზა გვექნება. ფაქტობრივად, გამოცოცხლდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლები და გაუმჯობესდება სავაჭრო და ტურისტულ ობიექტებთან კავშირი“, -განმარტა თოფურიძემ.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ, რომელზეც ხარაგაულის მერმა ისაუბრა. თოფურიძის თქმით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს შეჭირვებულ ოჯახებს და მათ შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა ისარგებლონ მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამებით.

შეხვედრას ესწრებოდა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე, რომელმაც იმ ახალ სოციალურ პროგრამებზე ისაუბრა, რომელიც მუნიციპალიტეტში წელს ამოქმედდა. როგორც ცნობილია, პირველად მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები. ასევე ახალი ქვეპროგრამით ისარგებლებენ მრავალშვილიანი ოჯახები, თუ მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს და ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ოთხი ან მეტი შვილი. ფულადი შემწეობა გაიცემა მარჩენალდაკარგულ ოჯახებზეც.

დასასრულს, ნიკოლოზ თოფურიძემ მადლობა გადაუხადა წარმომადგენლებს წარმატებული საქმიანობისათვის და მოუწოდა, ყურადღებით მოეკიდონ ყველა მოთხოვნას, რაც სოფლის მოსახლეობიდან წამოვა.

ეკა შავიძე

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მოადგილე არჩილ მაღრაძემ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგი განახორციელეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარელისში, ტაბატაძეების უბანში, გზის 450 მეტრიან მონაკვეთს კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე და პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე გზის მშენებლობის პროცესს ადგილზე გაეცნენ და პროექტის მონიტორინგი განახორციელეს.

ტაბატაძეების უბანში ამორტიზებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდიდან 59 869 ლარით დაფინანსდა. პროექტის ფარგლებში, გზაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები, მოპირკეთდება გვერდულები.

აღნიშნული მონაკვეთი, ბეტონის საფარის დაგების დასრულების შემდეგ, 2016 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ სოფლის ცენტრალურ, მოასფალტებულ, გზას შეუერთდება.

ამავე დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს და აღნიშნეს, რომ გზა, ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ხარისხისა და პარამეტრების სრული დაცვით კეთდება.

ქვებში სოფლის ცენტრალური გზის 1 400 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

პროექტი დაფინანსებულია რეგიონული განვითარების ფონდის მიერ და მისი საერთო ღირებულება 159 340 ლარია. თანამონაწილეობა კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 5%.

აღნიშნულ გზაზე საჭიროების ადგილებზე მოეწყობა სანიაღვრე არხები და მოპირკეთდება გვერდულები.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებისთვის ტრენინგები ტარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით საჯარო მოხელეებისთვის ინოვაციების ცენტრში ტრენინგები მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე გადამზადების კურსებს მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები გადიან. ტრენერები საკმაოდ გამოცდილი კადრები: ნანა გოგოხია („ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ“ მენეჯერი და გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრი) და მარი ზაქარაია (სერტიფიცირებული ტრენერი, ფასილიტატორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ანალიტიკის სამმართველოს თანამშრომელი) არიან.

როგორც ჩვენთან საუბარში ქალბატონი მარი განმარტავს, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთა უნარების გაძლიერება და კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანია. მისივე ინფორმაციით, მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს საჯარო მოხელეებს მოქალაქეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაში და სამუშაო ადგილებზე კონფლიქტების გადაჭრაში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე ამბობს, რომ ტრენინგებზე უაღრესად საჭირო თემებია განხილული, რაც მოგვცემს საშუალებას, უფრო ქმედითი და საინტერესო გავხადოთ ჩვენი საქმიანობა.

მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე მიიჩნევს, რომ ასეთი შეხვედრები ძალიან კარგია მოტივაციისთვის და იმის გასაცნობიერებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდურობასა და ურთიერთპატივისცემას. ,,ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ტრენინგებზე ჩვენ თავს, როგორც გუნდს, გარედან, სხვა კუთხით შევხედე. შეგვიძლია, კარგი და ორგანიზებული გუნდი ვიყოთ და მნიშვნელოვან დავალებებს საინტერესოდ და ეფექტურად გავართვათ თავი“.

შეგახსენებთ, რომ შემდგომ ეტაპზე გადამზადების კურსებს მერიის წარმომადგენლებიც გაივლიან.

ლელა გუგულაშვილი

ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი) ინიციატივით, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. აქციის ფარგლებში პაციენტებს სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმები (კარდიოლოგი, თერაპევტი, ენდოკრინოლოგი, გინეკოლოგი, ქირურგი, ექოსკოპისტი) მოემსახურნენ. საჭიროებისამებრ, მათ ასევე ჩაუტარდათ კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები, რომლებიც ბაზალეთის ამბულატორიაში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი შალვა ბიჭიაშვილი აცხადებს, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა მათთვის უპირატესია და მსგავსი ტიპის აქციები მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც დაიგეგმება.

„ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. ეს არის შესაძლებლობა, მოქალაქეებმა სამედიცინო კონსულტაცია წამყვან სპეციალისტებთან ადგილზე მიიღონ. თუკი მათ დამატებითი კვლევები დასჭირდებათ, შესაბამის დაწესებულებაში გადამისამართდებიან. აღსანიშნავია, რომ ჩვენს კლინიკაში ყველა საჭირო ამბულატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები ტარდება. განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო ვარლამ ჭიპაშვილს, რადგან მისი მხარდაჭერის გარეშე აქცია ვერ შედგებოდა. ასევე დიდი მადლობა ჩემს კოლეგებს, რომლებმაც სიხარულით მიიღეს აღნიშნული ინიციატივა. დღევანდელმა დღემ დაადასტურა, რომ კლინიკას ბევრი კვალიფიციური თანამშრომელი ჰყავს, რომელთაც მაქსიმალური დაფასება და ხელშეწყობა სჭირდებათ.“- განმარტა ბიჭიაშვილმა.

მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი მოხარულია, რომ ბაზალეთის მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარებოდათ და თვლის, რომ ასეთი ინიციატივები აუცილებელია. ,,მოსახლეობის ნაწილს არ აქვს ინფორმაცია, რა მომსახურების მიღება შეუძლიათ ხარაგაულის კლინიკაში. ვფიქრობ, თუ ეს პრობლემა მოგვარდება, პაციენტთა რაოდენობა გაიზრდება. მუნიციპალიტეტში ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა ნამდვილადაა და ყველას შეუძლია შემდგომი გართულებების თავიდან აცილება. ბაზალეთში გვყავს კვალიფიციური ექიმი და ექთანი, რომლებიც სისტემატურად ემსახურებიან ჩვენს მოქალაქეებს. აღსანიშნავია, რომ კლინიკის ახალ მენეჯერს საინტერესო გეგმები აქვს და მადლობა მას, ახალი იდეებით დატვირთული რომ ჩამოვიდა ხარაგაულში. მსგავსი აქტივობები ნამდვილად გაზრდის პაციენტთა რაოდენობას და საავადმყოფო სრულად დაიტვირთება.“- აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

უფასო სამედიცინო აქციაში მონაწილე პაციენტებმა მადლობა გადაუხადეს აქციის ორგანიზატორებს და შემდგომში მსგავსი სახის ღონისძიების გამართვის სურვილი გამოთქვეს.

ეკა შავიძე

რა სიახლეებს გვთავაზობს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი ის თვალსაჩინო კერაა, რომელიც სათუთად ინახავს ხარაგაულელების ისტორიულ წარსულს, გვაცნობს მის აწმყოსა და აშკარად იმ აუცილებელს, რითაც იკვეთება სამომავლო გზა. ეს უკანასკნელი კი დღევანდელი ცხოვრების შესატყვის სიახლეებთანაა უპირველესად დაკავშირებული. სწორედ ამ საინტერესო საკითხების გასარკვევად მივმართეთ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ნინო დიდიძეს.

-გვესაუბრეთ, როდის დაარსდა ხარაგაულში მუზეუმი და რა არის მისი ძირითადი დანიშნულება?

-ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1977 წლის ნოემბერში დაფუძნდა და ფუნქციონირება 1983 წლიდან დაიწყო, 2007 წელს კი ისტორიულ მუზეუმად ჩამოყალიბდა. მინდა აღვნიშნო, რომ მუზეუმი კულტურის კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც დაკავებულია იმ მატერიალური ნივთების მოძიება-შეგროვებით, რომლითაც წარმოჩინდება აღნიშნული რეგიონის მცხოვრებთა საქმიანობა, ეთნიკური სახე, კომუნიკაციები. საზოგადოებამ აუცილებელია იცოდეს, ვინ იყო საუკუნეების წინ და როგორ განვითარდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მუზეუმების საშუალებით ჩვენამდე მოაღწია: მწერლების, პოეტების, მხატვრების, მოქანდაკეების, მუსიკოსების, ფილოსოფოსთა სახელებმა და მათ მიერ შექმნილმა ხელოვნების ნიმუშებმა.

-მუზეუმში დაახლოებით ათი ათასამდე ექსპონატია დაცული და თითოეული მათგანი თავისი ისტორიითაა გამორჩეული. როგორ ხდება მათი შევსება-გამდიდრება?

- საკმაოდ მცირე დროში მოპოვებულ - ექსპონირებულ იქნა მხარის ათასობით უნიკალური მასალა. აღსანიშნავია, რომ უმრავლესობა მოსახლეობისგან გვაქვს გადმოცემული. აქ წარმოდგენილია მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი ისტორია ქვის ხანიდან მოყოლებული დღემდე. ესენია: ზოომორფული გამოსახულებები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, XIX-XXსს -ის ტექსტილი ხალიჩა -ფარდაგები, სამოსელი და აქსესუარები, ნაქარგობა, ლითონების უნიკალური კოლექციები, წერილობითი ძეგლები, ქართველ მხატვართა ფერწერული ტილოები და სხვა. ერთ დარბაზს ამშვენებს გამოჩენილ ხარაგაულელთა ფოტოები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და დღემდე წარმატებით მოიყვანეს ქართული მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა და სპორტი. 90-იან წლებამდე ფონდში დაცულ ექსპონატთა რაოდენობა 8 000 -მდე იყო, დღეს კი - 11 000-მდეა და ყოველწლიურად იზრდება. ხელოვნების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ანთიმონიანი ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მინიატურული ვერძის ქანდაკება. გასულ წელს მუზეუმის ფონდს 60-მდე შემომწირველისგან 80-მდე მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატა. თითოეული მათგანი, ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გამდიდრების საქმეში, ნამდვილად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მინდა, მადლიერება გამოვხატო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ნიკოლოზ თოფურიძის მიმართ, რომელიც ერთ-ერთი აქტიური შემომწირველია.

-ცნობილია, რომ გაქვთ ჩანაწერთა წიგნი, რომლის საშუალებითაც დამთვალიერებლები თავიანთ შთაბეჭდილებებს გიზიარებენ. მათგან რომელს გამოყოფდით?

- წიგნში უამრავი ცნობილი ადამიანის ჩაწერილ თბილ და სასიამოვნო სიტყვებს წაიკითხავთ. მათ შორის ბევრი უცხოელი ტურისტია. აქ ნახავთ პატარების შთაბეჭდილებებსაც. რომელიმე მათგანის გამოკვეთა ნამდვილად გამიჭირდება, რადგან თითოეულში არეკლილია მუზეუმის დათვალიერებით გამოწვეული სიამოვნება, ხშირადაა შემოთავაზებული საყურადღებო რჩევებიც.

- როგორია დღევანდელი საზოგადოების დამოკიდებულება მუზეუმის მიმართ და რამდენად ხშირად გსტუმრობენ?

- საზოგადოების დამოკიდებულება საკმაოდ პოზიტიურია და ვიზიტორთა რაოდენობა არც ისე ცოტაა. თითქმის ყველა თაობა გვსტუმრობს. აღსანიშნავია, რომ 27 იანვარს მუზეუმში იმყოფებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, რომელიც სამომავლო პროექტებში დახმარებასა და თანადგომას დაგვპირდა.

- რამდენი ხანია, რაც აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობთ და ამ პერიოდში რა მნიშვნელოვანი საკითხები გადაიჭრა?

- წლების განმავლობაში ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს ხელმძღვანელობდნენ წარმატებული ადამიანები: პავლე ფურცელაძე და ეკატერინე შველიძე, რომელთა უშუალო ძალისხმევით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა. მათმა თავდაუზოგავმა შრომამ და ღვაწლმა უამრავი უნიკალური ექსპონატი შემოუნახა მომავალ თაობას. 2009 წლიდან გახლავართ ისტორიული მუზეუმის დირექტორი და მეამაყეობა, რომ ისეთ ღირსეულ საქმეს ვემსახურები, რასაც ქვეყნის საგანძურის დაცვა და პოპულარიზაცია ჰქვია. ჩემი მმართველობის პერიოდში, 2010 წლიდან ეტაპობრივად დავიწყეთ ნესტისაგან დაზიანებული დარბაზების შესასვლელების მოწესრიგება. შევიძინეთ სპეციალური აპარატურა, რომლის საშუალებით მოხერხდა ფონდში არსებული ნეგატივების აღდგენა და საინტერესო ფოტომასალა შეემატა მუზეუმს. მოხდა ფონდსაცავის ოთახის რეაბილიტაცია, რადგან დაზიანებული ჭერიდან წყალი ჩამოდიოდა და ექსპონატები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

მუზეუმი ასევე ყოველწლიურად ახორციელებს 2011 წელს ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) მიერ შემოთავაზებულ პროექტს „ღამე მუზეუმში“. ასევე ტარდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება: „ღვინის ფესტივალი“, „მოხალისე გიდები“, „შემოდგომა იმერეთში“. ჩვენი ინიციატივით მუნიციპალიტეტში აღინიშნება „ეროვნული სამოსის დღეც“. 2013 წელს ასევე განხორციელდა უნიკალური პროექტი, ფონდში დაცული ვერცხლის ნაკეთობების კონსერვაცია-რესტავრაცია და განთავსდა ახლად გახსნილ თანამედროვე საგამოფენო დარბაზში. სრულიად უსასყიდლოდ, თანამშრომლების მონდომებით, განახლდა ბუნების განყოფილება, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ბავშვებში. დასასრულს უახლოვდება ექსპონატთა ელექტრონული ბაზის მოწესრიგება-დიგიტალიზაციის პროცესი. 2015-2017 წწ კი სამხატვრო აკადემიისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტით ორ ეტაპად განხორციელდა ხელოვნების ნიმუშების რესტავრაცია. მოხერხდა დიდი და მცირე გალერეის განახლება. სასიხარულოა, რომ მუზეუმში მხატვარ მამუკა ცუცქირიძის ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის უდიდესი მხარდაჭერით მოეწყო ქართველი გრაფიკოსის, ხელოვნების ქურუმის, სამხატვრო აკადემიის პროფესორ ლევან ცუცქირიძის სახელობის სამხატვრო სტუდია „ფრესკას“ სახვითი ხელოვნების ორი დარბაზი. აქციის ფარგლებში მუზეუმს გადმოეცა ახალი ფერწერული და გრაფიკული 50 ნამუშევარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი ინიციატივით ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტები: „ჩემი პატარა ხელებით“, „პატარა რესტავრატორები“, „მოხალისე არქეოლოგები“, „ჩვენ ვხატავთ ანიმაციას“, „ქართული საცხოვრისი“, „მოხატული კერამიკა“, „გაცოცხლებული ფოტოები“ და სხვა.

- რა პრობლემების წინაშე დგას ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- მიუხედავად მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის უდიდესი თანადგომისა, პრობლემები, რა თქმა უნდა, არის. თუმცა ყველაფერი მოგვარებადია და ეტაპობრივად ეს საკითხები გადაიჭრება. პირველ რიგში, აუცილებელია დარბაზების გათბობა, ასევე ეზოს კეთილმოწყობა. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ ვაპირებთ გამოჩენილი ადამიანების დარბაზის განახლებას და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მასალების მოძიება. ასევე იგეგმება გამოფენა, რომელსაც სიურპრიზად დავტოვებ. მინდა გითხრათ, რომ ახლო მომავალში ჩვენს დამთვალიერებლებს ნამდვილად საინტერესო აქტივობებს ვპირდებით.

ეკა შავიძე

ხარაგაულის სპორტის განვითარების ცენტრი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას უწყობს ხელს

ხარაგაულის ,,სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში“ სრულიად უფასოდ სპორტის სხვადასხვა წრე ფუნქციონირებს. კერძოდ, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობას დაეუფლონ. აქ არის ასევე ძიუდოს, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, კარატესა და ჭადრაკის შემსწავლელი კურსები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალი სახის სპორტული წრე მოქმედებს მუნიციპალიტეტის სოფლებში. ჭიდაობის წრე ხევში, ბორითში, ვახანსა და ზვარეშია. კალათბურთის შესწავლას მოსწავლეები ვერტყვიჭალაში, ბორში, ნადაბურსა და კიცხში ითავსებენ. ბორითის აღსაზრდელები ფეხბურთს ეუფლებიან. რაც შეეხება ხევს, აქ მძლეოსნობის გუნდი საკმაოდ განვითარებულია. კიცხის ახალგაზრდები ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შესწავლაში აქტიურად არიან ჩართული. ბორში კი კარატეს შემსწავლელი კურსებია.

ცენტრის დირექტორი დავით გელაშვილი აღნიშნავს, რომ ხარაგაულელთათვის სპორტი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. მისი თქმით, სპორტსკოლა მაქსიმალურად უწყობს ხელს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. „გასული წელი საკმაოდ წარმატებული გახლდათ. პრიზიორების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ჩვენმა აღსაზრდელებმა შეჯიბრებებზე წარმატებით იასპარეზეს და მუნიციპალიტეტი ასახელეს.“ - განმარტა გელაშვილმა.

ცენტრის დირექტორი, ამბობს, რომ 2018 წელი საკმაოდ დატვირთული იქნება და აქვე აანონსებს, რომ ხარაგაულში ქართული ჭიდაობის ჩემპიონატის ჩატარება იგეგმება.

სპორტდარბაზში სატრენაჟორო დარბაზიც ფუნქციონირებს. მისი ერთთვიანი პაკეტის ღირებულება ოცდაათ ლარს შეადგენს და მოიცავს 16 ვიზიტს, ორი საათის ხანგრძლივობით.

,,ტრენაჟორებით კვირაში ერთი დღე სპორტსმენები უფასოდ სარგებლობენ, გარეშე პირთათვის კი ფასიანია. დაინტერესებულ პირებს სარგებლობა ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით 20:00 სთ-მდე შეეძლებათ. მათ მოემსახურებათ სერტიფიცირებული ტრენერი.“-აცხადებს დავით გელაშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულელ სპორტსმენებს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალისტი ლევან არევაძე ემსახურებათ, რომელიც მათ სპორტულ მასაჟს უკეთებს.

თამარ მაღრაძე

მუნიციპალიტეტის მერიამ რამდენიმე სოფელში გზების რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ღარიხევისა (დეკანოსიძეების უბანი) და ქროლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. წინადადების მიღება 22 თებერვალს სრულდება და პროექტის სავარაუდო ღირებულება 378 099 ლარია. ტენდერი გამოცხადდა ასევე ვაშლევის (მე-2 უბანში) საქასრიისა (რკინის ხიდის უბანში) და უბისის (ძინძიბოურის უბანში) სასოფლო გზების მოსაწესრიგებლად. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარი დაიგება.

როგორც ჩვენთან საუბარში ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, მოსახლეობას უმძიმეს პირობებში უწევდა გადაადგილება და მნიშვნელოვანია, ამ პრობლემის მოგვარება. ჭიპაშვილი აქვე მადლობას უხდის იმ ადამიანებს, რომელთა უშუალო ძალისხმევით კეთილი საქმე კეთდება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იყო გონივრული გადაწყვეტილება.

მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ხელფასები შესაძლოა, გაიზარდოს

30 იანვარს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების გაზრდის შესახებ იმსჯელეს. როგორც აღინიშნა, სახელფასო ანაზღაურება უცვლელი რჩება მერის, მერის მოადგილეებისა და სამხედრო აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელთათვის. დაგეგმილია სამსახურისა და განყოფილების უფროსების ხელფასების 100 - 100 ლარით გაზრდა, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 130 ლარით, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის - 70 ლარით.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასს, შესაძლოა 290 ლარით გაიზარდოს, ხოლო საკრებულოს აპარატის უფროსისა და მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის -100-100 ლარით.

საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატები 5 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

,,ოცდაჩვიდმეტი წელია, რაც საფინანსო სამსახურში ვმუშაობ და ძალიან მიყვარს ჩემი საქმე“

ქალი- ეს ის ამოუცნობი ფენომენია, რომლის ახსნასაც საუკუნეების განმავლობაში ბევრი ცნობილი და ჭკვიანი ადამიანი ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ქალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის არა მარტო ახალ სიცოცხლეს ბადებს, არამედ მოაქვს ბედნიერება და სიხარული მის გარშემო მყოფთათვის.

ჩვენი რუბრიკის სტუმარი ერთ-ერთი წარმატებული ხარაგაულელი ქალბატონი ნინო მაღლაკელიძეა, რომელიც ამჟამად მერიის საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილებას ხელმძღვანელობს. იგი საოცრად გულწრფელი და საინტერესო რესპონდენტია, რომელმაც საკმაოდ რთული ცხოვრება ღირსეულად გაიარა და დღეს ბედნიერი დედა და ბებიაა.

- დავიბადე ბორითში, მოსამსახურის ოჯახში. დედაჩემი ბორითის საუბნო საავადმყოფოს ექთანი გახლდათ. მამა ჯერ საქასრიის მეცხოველეობის ფერმის გამგედ მუშაობდა, შემდეგ კი ვეტერინარად. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში ბიუჯეტის შედგენა-შესრულების განხრით გავაგრძელე, შემდეგ კი გორის ეკონომიკური უნივერსიტეტის სააღრიცხვო ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, კვლავ ბიუჯეტის განხრით.

- რამ განსაზღვრა თქვენი მომავალი პროფესიის არჩევანი?

-პროფესია დედის დახმარებით ავირჩიე. მინდოდა, გერმანული ენის პედაგოგი ვყოფილიყავი, მაგრამ სურვილი ვერ ავისრულე, მისაღებ გამოცდაზე სწორედ ამ საგანში ჩავიჭერი. ამის შემდეგ დედაჩემმა მირჩია, სწავლა საფინანსო ტექნიკუმში გამეგრძელებინა და თან მომავალი წლის გამოცდებისათვის მოვმზადებულიყავი. ტექნიკუმი წითელ დიპლომზე დავამთავრე შემდეგ უნივერსიტეტში ჩავირიცხე. წარმატებული სტუდენტი გახლდით და სტიპენდიაც მქონდა.

- როგორ გაიხსენებთ სტუდენტობის წლებს?

- ჩემთვის დაუვიწყარია სტუდენტობის წლები, რომელმაც უამრავი მეგობარი შემძინა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ბევრი მათგანი დღეს ძალიან წარმატებულია. სოციალური ქსელების მეშვეობით სისტემატურად ვეხმიანები. ოცდასამი წლის წინ, როდესაც მეუღლე გარდამეცვალა, მაშინ მეგობრებმა სამსახური თბილისში შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვთქვი, ვერ დავტოვე ხარაგაული, მოხუცი დედამთილ-მამამთილი.

-მარტოდ დარჩენილმა ცხოვრება ამაყად გააგრძელეთ, როგორ შეძელით ეს?

- მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უმძიმესი წლები გამოვიარე, ხელფასი ძალიან დაბალი მქონდა, ბავშვებისა და მოხუცების პენსიაც მიზერული... ის წლები ყველასთვის მძიმე იყო, მით უმეტეს ჩემთვის და არ მინდა გახსენება. ბევრს ვშრომობდი, ვეწეოდი სოფლის მეურნეობას... ყოველივეს, უდენობა, უგაზობა და უწყლობა ემატებოდა. ახლა რომ ვიხსენებ, მიკვირს, როგორ დავძლიე ეს ყველაფერი.

-ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ასეთ დროს გვერდით დაგიდგნენ?

-ბევრი ადამიანი დამიდგა გვერდით. ჩემი მშობლები, მაზლი, და-ძმები მეხმარებოდნენ შეძლებისდაგვარად. მადლობელი ვარ ჩემი მეუღლის მეგობრების და თითოეული ხარაგაულელის, უამრავის თანადგომა და სიყვარული მახსოვს. ყველაზე მთავარი ჩემთვის სწორედ ეს სიყვარულია. არასოდეს დამიკარგავს იმედი, მიხაროდა, როცა ჩემს შვილებს ხშირად ახსენებდნენ, როგორი კეთილშობილი და განათლებული მამა ჰყავდათ.

-გვესაუბრეთ შვილებზე, როგორი დედა ხართ, კმაყოფილი ხართ თუ არა მათი არჩეული პროფესიებით?

— უფრო ხშირად ვიყავი მკაცრი და მომთხოვნი დედა, მაგრამ თუ შევამჩნევდი, რომ ვინმე ჩაგრავდა მათ, თავს ვეღარ ვცნობდი... მყავს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, სამივემ ხარაგაულის სასულიერო გიმნაზია დაამთავრა, მადლობელი ვარ გიმნაზიის მთელი კოლექტივის, ვიცოდი, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ჩემი შვილები თავს კომფორტულად გრძნობდნენ. ვცხოვრობდი და ვცხოვრობ შვილების სიხარულითა და ბედნიერებით. ამ ბოლო დროს მსაყვედურობენ კიდეც- საკუთარ თავს მიხედეო.

უფროსი ქალიშვილი ანი პირველი კურსიდანვე მუშაობს, მასაც მოუწია და-ძმაზე ზრუნვამ. ზოგჯერ ჩემი შვილების ,,მამას“ ვეძახი. ბავშვობიდანვე დამოუკიდებელია. აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში. ჟურნალ ,,ლიბერალში“ მუშაობის პერიოდში დაკავებული იყო კიდეც. ახლა საკმაოდ საპასუხისმგებლო სამსახურშია. ქეთი ფილოლოგია, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დაქორწინდა, ჰყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და ერთი ქალიშვილი, თათია მორგოშია, რომელიც ჩემთვის ყველაფერია.

ბიჭი მამის სეხნიაა. ნოდარი წელს ერთდროულად ამთავრებს უნივერსიტეტსა და აიტ აკადემიას.

- ხშირად აღნიშნავთ, რომ სამსახური ძალიან მნიშვნელოვანია თქვენს ცხოვრებაში, რას გულისხმობთ ამ სიტყვებში?

- ოცდაჩვიდმეტი წელია, რაც საფინანსო სამსახურში ვმუშაობ. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ჩემი კოლექტივი. ბედნიერება, რომელიც ვერ მივიღე პირადი ცხოვრებიდან, ვცდილობ, მივიღო ჩემი საქმიანობიდან. ჩემი სიმდიდრე, ჩემი წლები და დაგროვილი გამოცდილებაა. საშემოსავლო ინსპექციის უფროსადაც ვმუშაობდი. დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს ყოფილ ხელმძღვანელებთან და მათ ოჯახებთან. ბედნიერი ვარ, რომ ისეთ ადამიანებთან მომიწია თანამშრომლობა, რომლებისგანაც ბევრი კარგი ვისწავლე, მადლობელი ვარ თითოეული მათგანის...

სარგვეშის აღმინისტრაციულ ერთეულში პატარებისათვის სპექტაკლი მოეწყო

პროექტის ფარგლებში „თეატრი ყველა პატარას“, რომელსაც ხარაგაულის კულტურის სახლთან არსებული „თოჯინების თეატრი“ ახორციელებს, ხორითის, საბისა და სარგვეშის პატარებისათვის სპექტაკლი „აბა, თაგუნებო!“ გაიმართა. როგორც ჩვენთან საუბარში რეჟისორი, ირინე ჩხეიძე განმარტავს უახლოეს მომავალში სპექტაკლი მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც მოეწყობა.

,,ისეთ სოფლებში, სადაც იშვიათად ტარდება კულტურული ღონისძიებები, მსგავს აქტივობებს ძალიან დიდი და საოცარი ემოცია ახლავს. პატარები სპექტაკლის დასრულების შემდეგ თოჯინებს გულში იკრავენ და უჭირთ განშორება. ჩვენ კი ძალიან ბედნიერები ვართ, რადგან მათთვის ესოდენ დიდი სიხარულის მინიჭება შეგვიძლია“,- აღნიშნა რეჟისორმა.

ირინე ჩხეიძის სურვილია, მოსწავლეები სპექტაკლზე მუშაობის პროცესს დაესწრონ და საკუთარი თვალით ნახონ თოჯინების თეატრის მუშაობის სპეციფიკა. მან აღნიშნული ინიციატივა სკოლებს უკვე შესთავაზა. მისივე განმარტებით, თეატრს ამ ეტაპზე 25 ზღაპრის გმირი ჰყავს.

სარგვეშის მაჟორიტარი დეპუტატი და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე მიიჩნევს, რომ ირინე ჩხეიძე თეატრის განვითარებისთვის აქტიურად მუშაობს. ,,სპექტაკლს სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელები ესწრებოდნენ და დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს. უპირველესად, ვისურვებ, ასეთი მრავალფეროვანი ღონისძიებები ხშირად ჩატარდეს. მადლობა, ქალბატონ ირინეს სარგვეშელი პატარების გახარებისათვის,“-აღნიშნა რუსუდან გიორგაძემ.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა „თოჯინების თეატრმა“ გასულ წელს ჭიათურაში გამართულ თოჯინების სახალხო თეატრალურ ფესტივალში მეორე ადგილი დაიკავა. იგი 2008 წლიდან ფუნქციონირებს და ამ დროისათვის 6 პრემიერა და 30 სპექტაკლი აქვს ნაჩვენები.

თამარ მაღრაძე

დეპუტატებმა (ა) იპ-ების სამომავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის (თავმჯდომარე დავით კიკნაძე) სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა)იპ-ების მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესახებ იმსჯელეს და ხელმძღვანელი პირებისაგან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი პრობლემა არასაკმარისი ფინანსური რესურსია. როგორც ირკვევა, წლის ბოლომდე ფუნქციონირებისათვის თანხები საკმარისია მხოლოდ სამუსიკო სკოლის, ისტორიული მუზეუმის, ტურიზმის ცენტრისა და მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლისათვის.

„ხალხური შემოქმედების სახლს“ არაერთი ღონისძიება აქვს დაგეგმილი, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ. თუმცა, როგორც დირექტორი დალი მაღრაძე განმარტავს, ფინანსების სიმწირის გამო ბევრი მათგანი ვერ ჩატარდება. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ რუსუდან გიორგაძემ ხალხური შემოქმედების სახლს მხარდაჭერა აღუთქვა და დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში მათ საჩუქრად პიანინოსა და აკორდეონს გადასცემს.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა „უსინათლოთა პროგრამის“ შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, პროექტის გასაგრძელებლად საკმარისი თანხა ა(ა)იპ-ს არ გააჩნია. იგი იმედოვნებს, რომ გარკვეული რაოდენობის წიგნებს სხვადასხვა ფონდის დაფინანსებით შეიძენს.

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის, მამუკა ჭიპაშვილის, ინფორმაციით, წლის ბოლომდე ფუნქციონირებისათვის მათ დამატებით 200 ათასი ლარი ესაჭიროებათ. მან ნადაბურის საბავშვო ბაღისათვის ბოილერის შეძენის აუცილებლობაზეც ისაუბრა. ქალბატონმა რუსუდან გიორგაძემ აქვე დააანონსა, რომ აღნიშნულს საჩუქრად ნადაბურის ბაღს პირადად გადასცემს.

,,სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი დავით გელაშვილი მიიჩნევს, რომ წარმატებულ სპორტსმენთა წახალისებისათვის თანხები არასაკმარისია. იგი დებულებაში ცვლილებას გეგმავს და ამბობს, რომ სპორტსმენი მხოლოდ საქართველოს ნაკრების წევრობის გამო არ უნდა წახალისდეს.

ა(ა)იპ „კულტურის ცენტრის“ დირექტორმა ვასილ კიკნაძემ აღნიშა, რომ დამტკიცებული ბიუჯეტი მათ ხელფასებისათვისაც არ ჰყოფნით. ბატონმა ვასილმა ყურადღება გაამახვილა, იმ ფაქტზე, რომ მიმდინარე წელს ხარაგაულს ქ. ლიმბაჟის თეატრალური დასი ეწვევა.

ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი ლენა აბაშიძე ვერტყვიჭალის კლუბში გაუქმებული შტატის აღდგენას ითხოვს. მისი თქმით, კლუბს უსასყიდლოდ ყოფილი თანამშრომელი უვლის.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი (დირექტორი იზა ვეფხვაძე) 2018 წელს ოთხი ლიტერატურული სპექტაკლის პრემიერას გეგმავს. ასევე მოეწყობა გასვლითი ღონისძიებები, რომლის თანხებიც ბიუჯეტიდან არ იხარჯება და ყოველივე შემომწირველთა დახმარებით ხორციელდება. ქალბატონმა იზამ ელექტროპიანინოს შეძენის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა ამ ეტაპზე ეს ვერ ხერხდება.

,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ბერიკა თურმანიძის ინფორმაციით, ცენტრი ბროშურების დამზადებას გეგმავს, რომელზეც ხარაგაულის მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტები იქნება აღბეჭდილი. სამომავლო გეგმებში კვლავ აქტუალურია მოსწავლეთათვის საზაფხულო ბანაკის მოწყობა. თურმანიძე აქვე აანონსებს ხარაგაულში, მდინარე ჩხერიმელაზე, სლალომის ჩემპიონატის ჩატარებას, ხანდების ტერიტორიაზე მდებარე კლდეებზე კი საცოცი ბილიკების გაკეთებას. ცენტრის დირექტორი საუბრობს, ,,ცაშეკრულას“ კანიონზე განათების, ასასვლელი ბილიკისა და დასასვენებელი პარკის მოწყობაზეც.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი ტურიზმის ცენტრის აქტივობებს მიესალმება, თუმცა თვლის, რომ ადგილობრივი ბავშვებისათვის ბანაკის მოწყობა ტურიზმს ვერ განავითარებს და ამ მიმართულებით ბევრი სამუშაოა. ჭიპაშვილი აქვე აღნიშნავს, რომ სამსახური რამდენიმე წელია ფუნქციონირებს და ახლა არ უნდა ეფიქრათ ბუკლეტების დამზადებაზე, ეს აქამდეც უნდა გაკეთებულიყო.

თამარ მაღრაძე

ვაშლევის საჯარო სკოლაში მოლოდინი და ინტერესი დიდი იყო... ბედნიერები ვიყავით, რომ გვეძლეოდა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ვზიარებოდით უნიჭიერესი ხელოვანის, ქალბატონი იზა ვეფხვაძის, შემოქმედებას. ხელოვნება პირდაპირ კავშირშია ღმერთთან, ის უკვდავია, მშვენიერია. ნიჭიერი ადამიანის მიერ სამყაროს შემოქმედებითი აღქმაა, რომელიც მსმენელს საკითხის შემეცნებაში ეხმარება და მის

მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები....

გონებაში სამუდამოდ რჩება მაღალმხატვრულად წარმოდგენილი სპექტაკლები. საკლასო ოთახი ემოციებს ვერ იტევდა, ღონისძიებაზე მოწვეული იყო საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონი მანანა ბარბაქაძე.

ქალბატონმა იზამ წარმოადგინა რეზო თაბუკაშვილის ცხოვრება სპექტაკლით: ,,მე ნავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები". საოცარი სანახავი იყო, როგორი სულგანაბული და ცრემლიანი თვალებით ისმენდნენ მოსწავლეები ბუმბერაზი ხარაგაულელის -რეზო თაბუკაშვილის -ლექსებს, წერილებს, სონეტებს. საამაყოა, რომ ეს უდიდესი ადამიანი ჩვენი მიწა-წყლის მკვიდრი იყო თავისი უმდიდრესი ნაღვაწით, ძალიან უყვარდა ხარაგაული, რომელსაც არაერთი სტრიქონი მიუძღვნა.

,,ოცნების იქით დამრჩა ოცნება
შორი თბილისის შფოთი ქუჩები,
დამრჩა სალექსოდ და საკოცნელად
ჩემი ბოჩოლას სველი ტუჩები."

სულშიჩამწვდომია რეზო თაბუკაშვილის ლექსი ,,შვილიშვილებს", რომელიც მთელი ქართველი ახალგაზრდობისთვის არის ბრძნული ანდერძი.

ვაშლევის საჯარო სკოლის დირექტორმა ქეთინო ლურსმანაშვილმა იზა ვეფხვაძეს დაუვიწყარი საღამოსათვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

მშობელმა თინათინ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ქალბატონი იზა ვეფხვაძე არის პატრიოტი, საკუთარი საქმის პროფესიონალი, რომელიც თავის ხალხსა და ქვეყანას ემსახურება.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ჩვენს მოსწავლეებთან ერთად ქალბატონმა იზამ სამახსოვრო ფოტო გადაიღო და დამოძღვრა ისინი კარგი სწავლისა და ყოფაქცევისათვის. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები, იცეკვეს და იმღერეს.

ჩვენს სკოლაში ეს დღე მართლაც გამორჩეული იყო.

ქეთევან გოგოლაძე

საკრებულოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის თანამდებობა ვაკანტურია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსს აცხადებს.

კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია: უმაღლესი განათლება, ქართული ენის კარგად ცოდნა, სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წლისა და საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft office word, mikrosoft office Excel ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (WWW.hr.gov.ge) საბუთები კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარულ დღეში უნდა წარადგინონ.

ღია კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება: განცხადებების გადარჩევა და გასაუბრება.

ხარაგაულელმა მოჭიდავემ, ევსემ შველიძემ, საქართველოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა

ქუთაისის სპორტის სასახლეში 23-წლამდე მოჭიდავეთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან 200-მდე ფალავანმა მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ხარაგაულელმა მოჭიდავემ, ევსემ შველიძემ, რომელმაც 79 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი).

ევსემ შველიძე შედეგებით კმაყოფილია და ამბობს, რომ შეჯიბრი საკმაოდ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. ახალგაზრდა სპორტსმენი მიიჩნევს, რომ მან ყველა რესურსი გამოიყენა, რათა ხარაგაული ესახელებინა. ევსემი აქვე მადლობას უხდის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრსა და მწვრთნელ რევაზ შერგელაშვილს, რომელთა უშუალო დამსახურებაა მისი წარმატება.

აღსანიშნავია, რომ ევსემი არაერთი ტურნირის გამარჯვებულია და მიღებული აქვს უამრავი დიპლომი და მედალი.

ეკა შავიძე

ყოფილი პატიმრებისა და მიგრანტების დასახმარებლად ,,აფხაზინტერკონტი'' მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, არჩილ მაღრაძის, ინიციატივით, ფონდ „აფხაზინტერკონტის" წარმომადგენლებთან- გიორგი ცხვედიანთან და მიხეილ ელბაქიძესთან- საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა. აღნიშნული ორგანიზაცია ორ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს და ერთ-ერთი ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების მხარდაჭერას (დახმარება შეუძლია მიიღოს ყველამ, ვინც 2016 წლიდან იმყოფებოდა პატიმრობაში, მინიმუმ 6 თვე) ითვალისწინებს.

პროგრამა მათ შემდეგ სერვისებს სთავაზობს: დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება (სტაჟირება, ტრენინგები, ხელობის დაუფლება); თვითდასაქმება (მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობა); სოციალურ საწარმოში დასაქმება; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; იურიდიული დახმარება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე პროექტი, რომელიც გულისხმობს „რეგიონში დაბრუნებული მიგრანტებისათვის - ეფექტიანი მხარდაჭერის გარემოს შექმნას."

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ დარეკოთ-0431 26 48 61; 0431 26 48 62.

ან მიმართოთ ფონდ „აფხაზინტერკონტის" ფილიალს შემდეგ მისამართზე: - ქ. ქუთაისი, ნინოშვილის ქუჩა N27.

თამარ მაღრაძე

საჯარო სკოლის პედაგოგების ხელფასი იზრდება

პირველი თებერვლიდან საჯარო სკოლის პედაგოგების ხელფასი იზრდება. კერძოდ, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის დანამატი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, ნაცვლად 500 ლარისა, განისაზღვრება 700 ლარით, ხოლო მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის – ნაცვლად 700 ლარისა- 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ცვლილების ავტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.

ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე ღია კონკურსი გამოაცხადა. დაინტერესებულ პირებს საბუთების წარდგენა www.hr.gov.ge-ზე 8 თებერვლამდე შეეძლებათ. კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 2 -წლიანი გამოცდილება.

ხარაგაულში გენდერული საბჭოს ახალი შემადგენლობა დაკომპლექტდა

31 იანვარს გენდერული თანასწორობის საბჭოს (თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე) ახალი შემადგენლობის პირველი შეხვედრა გაიმართა. საბჭოს ახალი შემადგენლობა 31 ხარაგაულელითაა დაკომპლექტებული, აქედან 17 ქალი და 14 მამაკაცია. სხდომაზე 2018 წლის სამოქმედო გეგმა განიხილეს. ასევე შეიქმნა საბჭოს ხუთი სტრატეგიული მიმართულება, რომელიც კონკრეტული საკითხზე იმუშავებს.

მერის თანაშემწის გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძის ინფორმაციით, „გენდერული საბჭოს წევრთა სურვილია, გეგმა იყოს არა ფორმალური, არამედ ადგილობრივ გენდერულ საჭიროებებს მორგებული, რეალური და ქმედითი. საბჭოს წევრები გააგრძელებენ დოკუმენტზე მუშაობას და სრულყოფილი სახე პირველ რიგში მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინება, შემდეგ კი დასამტკიცებლად საკრებულოს."

სხდომის დასასრულს, გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ცენტრალურ ბიბლიოთეკას (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) სამახსოვროდ ახალი წიგნები გადასცა.

თამარ მაღრაძე

მადლობა თქვენ!

ნათლისღების დღესასწაულს, 19 იანვარს, ყოველი მართლმადიდებელი სიხარულით ხვდება, რადგან ამ დღეს უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, ნათელი იღო მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ.

მიმდინარე 2018 წლის ამ დღეს ჯანმრთელობის არასასურველი მდგომარეობის გამო აღმოვჩნდი ხარაგაულის შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში" (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი) და, როგორც ქრისტიანი, ნამდვილად განვიბანე ადამიანთა სიყვარულით გაჯერებულ იმ ღვთიურ მდინარეში, რომელიც თქვენი გულებიდან მოედინება, პროფესიული ოსტატობითა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით დაჯილდოებულო ადამიანებო!

დაე, არასდროს დაკლებოდეს სიყვარულუხვობა ამ მდინარეს.

პროფესიული წარმატება და ოჯახური ბედნიერება იყოს მუდამ თქვენი თანამგზავრი!

მადლობა თქვენ!

სიყვარულითა და მადლიერებით,

მერი გიორგიძე,
ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის
პედაგოგი

მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეებს მიმდინარე წელსაც მოემსახურება

ხარაგაულის სამ სოფელს მუნიციპალური ტრანსპორტი მოემსახურება. მიკროავტობუსი ხარაგაული-ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით ხუთშაბათობით იმოძრავებს, რომელიც რკინიგზის სადგურიდან ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით 09:30 -სთ და 14- სთ გავა, ხოლო ქროლი-ბაზალეთის საზღვრიდან რკინიგზის სადგურის მიმართულებით - 10:00 სთ და 14:30 სთ-ზე. მგზავრობის ღირებულება 50 თეთრით განისაზღვრა. მარშრუტი ასევე იმოძრავებს ბაზალეთის სკოლიდან ხარაგაულის საავადმყოფოსა და რკინიგზის სადგურის მიმართულებით და მგზავრობის ღირებულება 30 თეთრი იქნება..

ხარაგაული-თეთრაწყაროს ტერიტორიაზე მიკროავტობუსი მოქალაქეებს ყოველდღე მოემსახურება და, 18:00 საათზე გასული, კიცხის საზოგადოებრივ ცენტრამდე მივა. მგზავრობის ღირებულება ამ მიმართულებით 50 თეთრი იქნება, რკინიგზის სადგურიდან თეთრაწყარომდე - 30 თეთრი, რკინიგზის სადგურიდან საავადმყოფომდე - 20 თეთრი, თეთრაწყაროდან ხარაგაულის საავადმყოფომდე კი - 10 თეთრი.

მიმდინარე წელს მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა გაგრძელდება ასევე სოფელ ფარცხნალში, რომელიც ყოველ სამშაბათს რკინიგზის სადგურიდან ფარცხნალის მიმართულებით 10:00 -სთ და 14:30 სთ-ზე გავა, ხოლო ფარცხნალიდან ხარაგაულისაკენ 10:30-სთ და 15:00 სთ-ზე. მგზავრობის ღირებულება 30 თეთრით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ბაზალეთი-ქროლის მიმართულებით მოძრავ ტრანსპორტზე თანადაფინანსებას ამავე თემის მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი გაიღებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია მშვიდობიან და უსაფრთხო მგზავრობას გისურვებთ!

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12